სახელოვანი წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XXI ყრილობას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 218 (11222) | შაბათი, 20 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი

ჯერჯელადი პარტიული ორგანიზაციები ჩვენი პარტიის საფუძველს წარმოადგენენ. მათ დიდი როლი ეკისრებათ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის მასების მობილიზაციის საქმეში.

თუ რამდენად სისხლჭარბი, საინტერესო და შინაარსიანი იქნება საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ცხოვრება — ეს დიდად არის დამოკიდებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის უნარიან მუშაობაზე. მდივანი არის კომუნისტთა პოლიტიკური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, მათი მეგობარი და მრჩეველი. იგი რაზმავს კომუნისტებს, ეხმარება მათ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კარგად მუშაობს იქ, სადაც მდივანი ამართლებს კომუნისტთა მაღალ ნდობას, მთელ თავის ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს მისთვის მინდობილი პარტიული დავალების შესრულებას.

სოფელ მახარაძის კოლმეურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ“ ერთ-ერთი მოწინავეა მახარაძის რაიონში. კოლმეურნეობამ წარმატებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი, გადაჭარბებით შეასრულა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გეგმები. ამაღლდა კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ხვედრი. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ წელს სამშობლოს მისცენ 655 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 32 ცენტნერი სიმინდი, ყოველ ძროხაზე მიიღონ 2.000 ლიტრი რძე. კოლმეურნეთა ბრძოლას სათავეში უდგას პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 61 კომუნისტს აერთიანებს. პარტიულო უნარიანად ახორციელებს გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, სისტემატურად განიხილავს კრებებზე სამეურნეო მუშაობის საკითხებს, აწყობს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, ყოველდღიურად წარმართავს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას. აღსანიშნავია, რომ საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე ფიზიკურად მუშაობს 54 კომუნისტი. პირველად პარტიულ ორგანიზაციას ოთხ წელზე მეტია ხელმძღვანელობს გ. ბურაკოვი, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა და ინიციატივიანმა მუშაკმა.

ეს მრავალთაგან ერთი მაგალითია იმისა, როცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, მის მდივანს კარგად ესმით ცხოვრების მოთხოვნები და სწორად წყვეტენ სამეურნეო მშენებლობის საარსებო საკითხებს. მაგრამ ამასთან ერთად სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა ისიც, რომ ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციისა და მათი მდივნების მუშაობა დღემდე ვერ უპასუხებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში არც თუ იშვიათად იწვევენ პარტიულ კრებებს, რომლებზეც განიხილავენ საკოლმეურნეო წარმოების არსებითა საკითხებს. მაგრამ იმის გამო, რომ არ აწყობენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, ნაკლებად ზრუნავენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლებისათვის, კოლმეურნეობა შეუწყნარებლად ჩამორჩება. არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები, დაბალია კოლმეურნეობის შემოსავალი და კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურება. სასოფლო-სამეურნეო არტელს აქვს 200 ათას მანეთზე მეტი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება. კოლმეურნეობის კომუნისტები ნაკლებ პასუხს მგებლობას გრძნობენ მეურნეობის მდგომარეობისათვის, სუსტია მათი ავანგარდული როლი. ყველა ამ ფაქტიდან პარტიული ორგანიზაციის მდივანს ა. გელაშვილს საჭირო დასკვნები არ გამოაქვს.

ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის კადაწყვეტილებათა საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაეცათ კოლმეურნეობებს, დადგენილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი წესი, პირობები და ფასები, კიდევ უფრო გაზარდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი მეურნეობის მდგომარეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი ზრდისათვის. პარტიული კომიტეტები განუწყვეტლივ აძლიერებენ ზრუნვას სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. მაგალითად, პარტიის წითელწყაროს რაიკომი ღრმად სწვდება თვითეული პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. იგი მთელი რიგ ღონისძიებებს ახორციელებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების აღზრდისა და დახელოვნებისათვის.

ცხოვრება, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ყოველდღიურად ახალ მოთხოვნებს უყენებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან დაეხმარონ პარტიული ორგანიზაციების მდივნებს სწორად და მოფიქრებულად გადაწყვიტონ მათ წინაშე დაყენებული ამოცანები. მაგრამ რედაქციაში შემოსული წერილები მოწმობენ, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი მდივნებთან აღმზრდელობითს მუშაობას სცვლის ადმინისტრირებით, ხელაღებით სჯის ან ხსნიან მათ სამუშაოდან.

პარტიის რაიონული და საოლქო კომიტეტების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით მათ ფართოდ უნდა დანერგონ პრაქტიკაში მდივნების სწავლების ისეთი ფორმები, როგორიც არის მუდმივმოქმედი სემინარები, თათბირები, ცოცხალი ინსტრუქტაჟი ადგილებზე, პარტორგანიზაციის მდივნის ინგარიში რაიკომის ბიუროს სხდომაზე. პარტიული ხელმძღვანელის სწორი აღზრდის გადამწყვეტი პირობაა მარქსისტულ-ლენინური სწავლება.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის სასიხარულო ცნობები მეჩაიეთა, მეცხოველეთა, მევენახეთა, და სხვათა სასახელო გამარჯვებების შესახებ. ვენახებსა და ხეხილის ბაღებში დამწიფდა ყურძნისა და ხილის უხვი მოსავალი. იბრძვის რა სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, კოლმეურნე გლეხობა ამასთან ერთად გაცხოველებით ემზადება საშემოდგომო თესვისა და პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის. ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საჭიროა ამ დიდი პატრიოტული აღმავლობის დღეებში საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, გააუმჯობესონ შეჯიბრების ხელმძღვანელობა, საქმით დაეხმარონ მშრომელებს ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში. საქმე ეხება იმას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ ყოველ სასარგებლო წამოწყებას, ფართოდ დანერგონ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილება, კიდევ უფრო გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დაუქვემდებარონ იგი ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, მიაღწიონ სოციალისტური შეჯიბრების ფართო საჯაროობას.

მხოლოდ ამ გზით შეძლებს თვითეული საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია იყოს სოფლის კომუნისტთა ნამდვილი ხელმძღვანელი, მთელ ძალებს წარმართავდეს სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

★

შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის საწარმო - დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში და ახალმშენებლობებზე ახალი ძალით გაჩაღდა პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ჩაება წისქვილკომბინატის (დირექტორი გრ. ბოლქვაძე) კოლექტივი. კომბინატის კოლექტივმა 8 თვის დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით ათეული ტონა მაღალი ხარისხის პურის ფქვილი მისცა სამშობლოს.

ახლა წისქვილკომბინატის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წლიური დავალება 20 დეკემბრისათვის შეასრულოს, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5 მილიონი მანეთის პროდუქცია, დაზოგოს 190 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 4 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 0.3 პროცენტით. ამასთან კომბინატის კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა დროულად გადაამუშაოს რკინიგზის ვაგონები და გემები. გეგმის გადამეტებით დაზოგოს 25 მილიონი მანეთი.

დგას რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ფოთის წისქვილკომბინატის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის, ბაქოს და კიევის წისქვილის ქარხნები და ერევნის წისქვილკომბინატი.

ქართული ხალიჩები გეგმის გადამეჯებით

ცხაკაია. (საკ. კორ.). ქართული ხალიჩები და ფიანდაზები, რომლებსაც ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკა ამზადებს, მომხმარებელთა მოწონებით სარგებლობს. აგვისტოში მეხალიჩეებმა 22.513 კვადრატული მეტრი ხალიჩა მოქსოვეს, რაც თითქმის 2 ათასი კვადრატული მეტრით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

ფაბრიკის კოლექტივი დადგა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე და ყოველდღიურად აძლიერებს შრომის ტემპს. საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მქსოველები კ. კუზნეცოვა, გ. ლოჩოშვილი, ნ. ადამია, ა. ნინუა და სხვები. მეხალიჩეები იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის № 1 საქსოვი საწარმოს ინსტრუქტორი ტ. ლორთქიფანიძე (მარცხნიდან), მოწინავე მქსოველები ე. ჯიმშელეიშვილი და ნ. ლეგაშვილი. ფოტო ე. ციციაშვილისა.

★ ★ ★

ქუთაისელი ფეიქრები შრომითს ვახტზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). შრომითს გამარჯვებებს აღწევს რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საფეიქრო საწარმოს — ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კოლექტივი, რომელმაც დიდი გადამეტებით შეასრულა რვა თვის დავალება და გეგმის ზევით 2 მილიონ 632 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ქუთაისელმა ფეიქრებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისელ ჩარხმშენებელთა თაოსნობას, ჩაებნენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მთელი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა იმისათვის, რომ ვადამდე — 23 დეკემბრისათვის შეასრულონ აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების წლიური დავალება, გეგმის გადამეტებით დაამზადონ 400 ათასი მეტრი ქსოვილი, წლის ბოლომდე გამოუშვან 3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას კომბინატის მთელი კოლექტივი. განსაკუთრებით დაწინაურდა № 1 საქსოვი საწარმოს (უფროსი რ. ღირდალაძე) კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 103-106 პროცენტით ანაღდებს. მარტო ერთ დღეს ამ საწარმოს ფეიქრებმა გეგმის გადამეტებით მოქსოვეს 1.600 მეტრი აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი, ხოლო შემდგომ დღეებში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და ახლა ყოველდღიურად 1.800-2.000 მეტრ ზეგეგმითს ქსოვილს ამზადებენ. ამასთან ფეიქრებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებენ კომუნისტი ქვოსტატების გ. კუტივაძისა და ი. მჭედლიძის ბრიგადები. ცვლაში ერთნახევარ ნორმაზე მეტს იძლევიან ოთხდაზგოსანი მქსოველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელ. ჯიმშელეიშვილი, სამდაზგოსანი მქსოველები ლ. ტყაბლაძე, ნ. ლეგაშვილი და სხვები.

ცხრა თვის დავალება ორი კვირით ადრე შეასრულეს

ჰიათურა. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ნიკოპოლის მარგანტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ეჯიბრება, მხურვალედ გამოეხმაურა კიროველთა პატრიოტულ თაოსნობას, ჩაება პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულოს.

მაღაროს კოლექტივი პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. მან 15 სექტემბრისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ცხრა თვის დავალება და მარგანეცს ოქტომბრის ანგარიშში იძლევა. აღსანიშნავია, რომ აქ 6 სექტემბრისათვის შეასრულეს პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების ცხრა თვის დავალება.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და გეგმებს ორმაგად ასრულებენ წარჩინებული მაღაროელები ა. კაციტაძე, ვ. მიროტაძე, გ. ბოყოველი, ი. კაციტაძე, ნ. კენჭოშვილი, ბ. ბოყოველი და სხვები.

მაღაროს კოლექტივი სექტემბრის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემს ათასობით ტონა მაღალხარისხოვან მარგანეცს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ფართოდ გავაჩაღოთ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება

ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. შეჯიბრებაში ფართოდ ჩაებნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის და სხვა კოლექტივები, რომლებმაც გადიდებული ვალდებულებები იკისრეს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიწონა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა ეს ინიციატივა და წინადადება მისცა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოებს, რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ფართოდ გამოეხმაურონ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, უზრუნველყონ შეჯიბრებაში ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსის, მოსამსახურის ჩაბმა, ხელი შეუწყონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების, მოწინავე გამოცდილების ფართო პროპაგანდას; ამ საქმისათვის გონივრულად გამოიყენონ კულტურის სახლები, კლუბები, წითელი კუთხეები, რადიო, პრესა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საწარმოთა ხელმძღვანელებს დაავალა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლექტივებს, ცალკეულ მუშებს საჭირო ნედლეულით, ინსტრუმენტებით, მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიის XXI ყრილობას.

ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ბათუმი. (საკ. კორ.). ლუდის ქარხანა ქალაქის საწარმოთა შორის ერთ-ერთი პირველი ჩაება პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებული შრომით მოიპოვა პირველი წარმატებები.

ქარხანამ უკვე გაანაღდა როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა და რამდენიმე დღეა ლუდს ოქტომბრის ანგარიშში ამზადებს.

ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, სპეციალისტებს გადაწყვეტილი აქვთ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის შეასრულონ.

ბაზილიკის დიდი მოსავალი

ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა ბაზილიკის (რეჰანის) მოსავლის აღება. ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მაყამვილი) ეთერზეთის ქარხანას უკვე ჩააბარა 1.260 ცენტნერი ბაზილიკის მწვანე მასა.

ყველაზე უხვი მოსავალია ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. ჰექტარზე 80 ცენტნერის ნაცვლად 200 ცენტნერს იღებენ. ახალსოფლელები ეთერზეთის ქარხანას ორი ათას ცენტნერზე მეტ ნედლეულს ჩააბარებენ.

დოლორეს იბარური სოხუმში

სოხუმი. (საკ. კორ.). შავი ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად იმყოფებოდა ესპანელი ხალხის გმირი შვილი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი დოლორეს იბარური.

ამას წინათ დოლორეს იბარურიმ თავის ქალიშვილ ამაისთან ერთად ინახულა აფხაზეთი. სტუმრები იყვნენ ტბა რიწაზე, გაეცნენ აფხაზეთის დედაქალაქის სოხუმის ღირსშესანიშნაობებს.

სურათზე: დოლორეს იბარური (მარჯვნივ) და მისი ქალიშვილი სოხუმში. ფოტო ს. კოროტკოვისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ყურძნისა და გლეხურად დაყენებული ყურძნის ღვინის სახელმწიფო შესყიდვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია მევენახეობის განვითარების, ყურძნის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებისა და ვენახების ფართობის გადიდების საქმეში უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეული წარმატებანი. მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა მეღვინეობის ტექნიკური ბაზა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში, რომელსაც შესაძლებლობა აქვს მიიღოს სასაქონლო ყურძნის მთელი რაოდენობა, ზოგიერთი კოლმეურნეობა, და, განსაკუთრებით, კოლმეურნეები კვლავ იტოვებენ ღვინის დასაყენებლად დიდძალ ყურძენს.

ამავე დროს სამტრესტის საწარმოებს არ მოუწყვიათ გლეხურად დაყენებული ღვინის სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო ის გარემობა, რომ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ღვინის რეალიზაციას აწარმოებენ ბაზრებზე, იწვევს კოლმეურნეობათა მუშახელის მოცდენას სასარგებლო შრომისაგან.

იმის გათვალისწინებით, რომ ყურძნის დაწესებული შესასყიდი ფასები ხელსაყრელია კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის, მიღებულ დადგენილებაში რჩება ეძლევათ კოლმეურნეობებს მთლიანად მიჰყიდონ სახელმწიფოს ყურძნის მთელი მოსავალი, ხოლო კოლმეურნეებს რჩება ეძლევათ სახელმწიფოს მიჰყიდონ ყურძნის მოსავალი იმ რაოდენობის გამოკლებით, რომელიც საჭიროა პირადი მოხმარებისათვის.

ყურძნისა და გლეხურად დაყენებული ყურძნის ღვინის სახელმწიფო შესყიდვის მოწესრიგებას, ღვინის სახელმწიფო რესურსების გადიდებას ხელს შეუწყობენ აგრეთვე აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებანი:

ყურძნის შესყიდვის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამტრესტი აწარმოებს გლეხურად დაყენებული კონდიციური ღვინის შესყიდვას გადასამუშავებლად.

რადგან სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციას არა აქვთ შესაბამისი ტექნიკური ბაზა გლეხურად დაყენებული ღვინის გადასამუშავებლად, რაც იწვევს დაწესებული რეცეპტურის დარღვევას და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში **წყდება ყურძნის ღვინისა და ხილ-კენკრის** ღვინის წარმოება, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში—ხილ-კენკრის ღვინის წარმოება.

ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცათ, ნაცვლად „ვერმუტისა“ და ხილ-კენკრის ღვინოების გამომუშავებისა, მოაწყონ ხილის წვენის, ჩირის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვის წარმოება, გარეული ხილის გადამუშავება, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რამდენადაც ღვინის სახელმწიფო მრეწველობა სავსებით უზრუნველყოფს ღვინის პროდუქციის ფართო ასორტიმენტით მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, წინადადება მიეცა ცეკავშირის გამგეობას შეზღუდოს გლეხურად დაყენებული ღვინის საკომისიო ვაჭრობა.

კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს, აგრეთვე ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამტრესტისა, ეკრძალებათ ყურძნის ღვინის გასაყიდად გატანა რესპუბლიკის ფარგლებს **გარეთ.** (საქდესი).

ფოლადის თვითღირებულების შემცირების შესახებ

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა მუდამ უნდა წარმოადგენდეს სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ზრუნვის საგანს. ამირკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ამ უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საშუალება როდია გამოყენებული რენტაბელური მუშაობისათვის. განსაკუთრებით მაღალია ფოლადის თვითღირებულება. 8 თვეში აქ გეგმასთან შედარებით 5 მანეთითა და 43 კაპიკით გაზარდეს თვითეული გამოშვებული ტონა ფოლადის თვითღირებულება.

ფოლადის თვითღირებულების გადიდება ძირითადად გამოწვეულია ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით, მოცდენებით, წუნით, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი მარტენის საამქროში.

ცნობილია, რომ მარტენის ღუმელის ერთი საათით მოცდენა დაახლოებით 1.350 მანეთ ზარალს იძლევა. მაგრამ თუ ღუმელი ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოცდება, ზარალი შეადგენს 32.400 მანეთს. ასეთ შემთხვევებს კი მარტენის საამქროში იშვიათად როდი აქვს ადგილი. საჭიროა საამქროს ხელმძღვანელებმა აქტიური ბრძოლა გამოუცხადონ მოცდენებს, იბრძოლონ ღუმელების შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ხშირად ფოლადის გამოდნობის შემდეგ აგვიანებენ გამოსაშვები ღარის მოხსნას და ამ ოპერაციაზე თითქმის ყოველი გამოდნობისას კარგავენ 15-20 წუთს. დაახლოებით ამდენივე დროით გვიანდება გამოდნობა იმის შედეგად, რომ დროზე ვერ ახდენენ კაზმიანი შემადგენლობის მიწოდებას ფოლადის გამოდნობისათვის.

საამქროში ჯერ კიდევ ვერ შეძლეს, რომ ხშირად არ ჰქონდეთ მოცდენა ბოყვებისა და ციცხვების მოუმზადებლობის გამო. ზოგჯერ საათნახევრით აგვიანებს პროდუქციის გამოშვების პროცესს დნობის რბილი დაკაზმვა. აქ კარგად იციან, რომ ბოყვები ფოლადის ჩამოსხმისათვის წარმოადგენს მეტად დეფიციტურ და ძვირფას მოწყობილობას, მაგრამ რატომღაც მათ გულისხმიერად არ ეკიდებიან, ნაკლებად ზრუნავენ მათი მუშაობის გასახანგრძლივებლად.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს ბოყვების გრაფიტით შეღებვა წყლით გაუცივებლად. საქმე ის არის, რომ ადუღებული ფოლადის გამჟოლმა ბოყვებმა დაახლოებით 70 ჩასხმას უნდა გაუძლონ. ბოყვები ჩასხმამდე შიგნიდან იღებება გრაფიტის წყლის ხსნარით. გრაფიტი უადრესად ცეცხლგამძლეა, ამიტომ ბოყვები შეიძლება გრაფიტით შეიღებოს ყოველგვარი მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში. ეს არც ფოლადის ხარისხზე მოახდენს რაიმე გავლენას. ამჟამად კი საამქროში დანერგილია არასწორი პრაქტიკა. გახურებული ბოყვები ზოდსაგდები განყოფილებიდან დაბრუნების შემდეგ იღებენ წყლის შხეფებს და ცივდებიან ჰაერის ტემპერატურამდე. ასეთი გაცივების შემდეგ გამჭოლი ბოყვები შეჰყავთ ბოყვების ეზოში გასაწმენდად და გრაფიტით შესაღებავად. აქ მთავარია ის, რომ ბოყვებს ჰაერზე ბუნებრივად გაცივების შემთხვევაში სამსახური შეუძლიათ ორჯერ უფრო მეტ ხანს, ვიდრე ხელოვნურად გაცივებულ ბოყვებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ მარტენის საამქროში ბოყვები უძლებენ მხოლოდ 40-მდე ჩასხმას. ბოყვების წყლის შხეფებით გაცივებაზე უარისთქმა, უდავოა, დადებითად იმოქმედებდა ფოლადის თვითღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადების პრინციპულად აყენებენ საამქროს ინჟინერ-ტექნიკოსები, პირველ რიგში საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ამხ. ვ. გრაჩეევი, საამქროს ხელმძღვანელები ძველებურად მუშაობას არჩევენ.

ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად მარტენის საამქრო თითქმის ყოველთვიურად უშვებს 2 პროცენტ წუნდებულ პროდუქციას, რომელშიც მომხმარებელი იხდის 100 მანეთით ნაკლებს. ამ მიზეზით ფოლადის დიდძალი დანაკარგები მიიღება. ყოველივე ეს ძვირად უჯდება ქარხანას.

ამაა წინათ მარტენის საამქროში ჩატარდა ტექნიკური კონფერენცია, რომელზეც მოხსენება „ფოლადის თვითღირებულების შემცირების გზები“ გააკეთა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ამხ. დ. ტყეშელაშვილმა. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — მარტენის საამქროს უფროსმა კ. ლეკვამ, მეფოლადე ი. მეტრეველმა, კაზმის ეზოს უფროსმა ტ. გველესიანმა, ბოყვების ეზოს უფროსმა ს. სიხარულიძემ, ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ს. მალიშევმა და სხვებმა მრავალი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით.

— ჩვენ, მემარტენეებს, — განაცხადა ამხ. ი. მეტრეველმა, — შეგვიძლია დავიცვათ ეკონომიის რეჟიმი და ვიბრძოლოთ ფოლადის თვითღირებულების შემცირებისათვის. ფოლადის თვითღირებულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ღუმელების არასაკმაო მედეგობა, რომელიც საამქროში აღწევს საშუალოდ 40 დნობამდე. თვითღირებულების შემცირებისათვის საჭიროა არ დავუშვათ დნობის უკმარტვირთულობა და გადამეტტვირთვა, აგრეთვე ლითონის დანაკარგი ხუთვით.

ი. მეტრეველმა დააყენა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ეკონომიურად ხდებოდეს გასაწყობი და განმეანგავი მასალების, აგრეთვე ხარისხიანი ლითონის ხარჯვა.

კაზმის ეზოს უფროსს ამხ. ტ. გველესიანს საჭიროდ მიაჩნია, რომ ფასონურჩამომსხმელმა საამქრომ გააუმჯობესოს ცვლის მოწყობილობის ხარისხი, რის შედეგად მათ საშუალება ექნებათ ჩაეტიონ ფოლადის ჩამოსხმის დაწესებულ ნორმებში. მისივე წინადადებით ბოყვების ეზოში საჭიროა აშენდეს საწყობი, სადაც შეინახება ცეცხლგამძლე მასალები.

ფოლადის თვითღირებულების შემცირებისათვის წამოყენებული თვითეული წინადადება გულდასმით უნდა შეისწავლონ და განახორციელონ მეტალურგიული ქარხნისა და მარტენის საამქროს ხელმძღვანელებმა. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითეული ტონა ფოლადის გამოდნობა გაცილებით ნაკლები დაჯდეს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

2.000.000 ტონა სიდიადისათვის

საგარეჯოელები ნაკისრ ვალდებულებას 1 ოქტომბრისათვის გაანაღდებენ

საგარეჯოს რაიონის მეცხოველეობაში ისეთი შედეგები, როგორიც წელს არის, არასოდეს არ ყოფილა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება წველადობა. 2.000 კილოგრამი რძე თვითეულ საფურაქე ძროხაზე! — ასეთია საგარეჯოელთა ახალი ვალდებულება, რომელიც მათ იკისრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად.

60.000 ტონა სილოსის დამზადება იოლი საქმე როდია, მაგრამ საგარეჯოელებმა პირობის დადება თუ იციან, მისი შესრულებაც არ ავიწყდებათ. დღეისათვის უკვე ჩადებულია 50.000 ტონამდე სილოსი. სასილოსე მასა აქ უხვად მოეპოვებათ. მათ განსაკუთრებით კარგ დახმარებას უწევს ნაწვერალზე დათესილი სიმინდი, რომელიც ახლა რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეშია. საგარეჯოელები ვარაუდობენ 1 ოქტომბრისათვის უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულება.

განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა მიწისზედა დასილოსება, რომელსაც აქ წელს პირველად ახორციელებენ.

ბევრმა კოლმეურნეობამ, მათ შორის ჩაილურის, მანავის, გიორგიწმინდის, პატარძეულის, გომბორის, კოჯბაანის, სართიჭალის და სხვ. უკვე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა განაგრძობენ სილოსის დამატებით დამზადებას.

რაიონში არიან ჩამორჩენილებიც. მაგალითად, მუხროვანის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი დ. მეტრეველი) წელს 6.000 ტონა წვნიანი საკვები უნდა დაამზადოს, 15 სექტემბრისათვის კი დამზადებული ჰქონდა 1.838 ტონა. მუხროვნელები ჩამორჩნენ იმიტომ, რომ დიდი დაგვიანებით მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, ვერ უზრუნველყვეს ორგანიზებული მუშაობა, მაქსიმალურად არ გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი.

სილოსის დამზადების საქმეს უდარდელად მოეკიდნენ აგრეთვე ბაშის და ნინოწმინდის კოლმეურნეობები. მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საფრთხეშია.

საგარეჯოს რაიონი სილოსის დამზადების საქმეში რესპუბლიკის სხვა რაიონებს შორის მოწინავეა. სწორედ ამიტომ შეუწყნარებელია, რომ არიან ჩამორჩენილებიც, რომლებიც ჩრდილს აყენებენ მოწინავეთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.)

ხელშეკრულება არ სრულდება, ხილ-ბოსტნეული არ არის

— მაღაზიებში ხომ ვერ ვეღირსებით, წავიდეთ, ბაზარში მაინც ვიყიდოთ ცოტაოდენი ხილი და ბოსტნეული, — ნაწყენი კლოთი ეუბნებოდა ერთი ზესტაფონელი მეტალურგი თავის ამხანაგებს.

მაღაზიების მისამართით ბევრი თქმულა ასეთი საყვედური ზესტაფონში. მაგრამ საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილების მუშაკები მშრომელთა სურვილებს ანგარიშს სრულებით არ უწევენ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ქუთაისის, გორის და სხვა დამზადების პუნქტებიდან საქვაჭრობის განყოფილებას 339 ტონა ბოსტნეული უნდა შემოზიდა, შემოიტანა მხოლოდ ერთ ტონაზე ცოტა მეტი.

ზესტაფონელ მეტალურგებს მაღაზიებში გასაყიდად არასოდეს არ უნახავთ პამიდორი, ბადრიჯანი, ხახვი, სუფრის ჭარხალი და სხვ. ბოსტნეულით სასადილოებიც არ მარაგდებიან და მას ბაზარში ყიდულობენ — ეს კი აძვირებს კერძებს. ხილ-ბოსტნეული არც ზესტაფონის რაიკოოპკავშირის მაღაზიებში იშოვნება. ვაჭრობის მუშაკებს ჩისი შემოტანა „არ აძლევთ ხელს“, მათთვის უფრო „სარფიანია“ ღვინოარყით ვაჭრობა.

ზესტაფონში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის ჩაშლის ძირითადი მიზეზია საკვაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობა, მაგრამ აქვე დავძენთ კიდევ ერთს:

რაიონის კოლმეურნეობებში მებოსტნეობა-მებაღჩეობის განვითარებას ყურადღება არ ექცევა. წილს კოლმეურნეობებს ბოსტნეული 35 ჰექტარზე უნდა დაეთესათ, დათესეს 25 ჰექტარზე. ჩაიშალა ბაღჩეულის თესვის გეგმებიც. რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ამას ამგვარად ხსნიან — ჩვენს პირობებში ეს კულტურები ნაკლებად ვითარდებიანო.

მაგრამ თუ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ ეს აზრი მცდარია. წილს სოფელ ქვედა საქარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ამ კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანა.

ზესტაფონის რაიონის საკვაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი. არიან გაითვალისწინონ მშრომელთა გულისწყრომა, შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ზესტაფონში საკმარისი რაოდენობით შემოზიდონ ხილი და ბოსტნეული.

ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის წესიერად მოწყობის საკითხები პარტიის ზესტაფონის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ლ. ლოლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შენდეგა და მშვენდება ვაზისუბანი

განთქმულია სოფელი ვაზისუბანი თავისი ბარაქიანი ველ-მინდვრებით, ბაღ-ვენახებით და, რაც მთავარია, გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანებით. მეორე ასეთი დიდი სოფელი თითქმის არც კია მთელ გურჯაანის რაიონში.

კოლმეურნეობა განმტკიცებულია მეურნეობრივად და ორგანიზაციულად. ამ მოწინავე არტელის მარტო მსხმოიარე ვენახები 300 ჰექტარზეა გადაჭიმული. ახლა სხვა დარგებს ალარ იკითხავთ? კარგახანია ალმავლობას განიცდის მემინდვრეობა და მებაღეობა, მეცხოველეობა და სოფლის კეთილმოწყობა.

ასე როდი იყო 1953 წლამდე.

რაც კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ენერგიით აღსავსე მიხეილ იაშვილი, კოლმეურნეობაში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. იმატა ხვავმა და ბარაქამ. საგრძნობლად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ვაზისუბნელები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მიმდინარე სამეურნეო წელი უფრო მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრონ, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებით შეხვდნენ.

შარშან არტელის ფულადმა შემოსავალმა 4 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მარტო მევენახეობიდან 3 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.

მაღალმა შემოსავლიანობამ გაზარდა არტელის განუყოფელი ფონდები, ამან საშუალება მისცა ხელმძღვანელობას საგრძნობი თანხები გამოეყო კაპიტალური დაბანდებებისათვის.

სოფელში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ახალმშენებლობათა გაქანებული ტემპი. საითაც გაიხედავთ, ყველგან ხარაჩოებია აღმართული. შენდება საზოგადოებრივი ნაგებობანი, კოლმეურნეთა ინდივიდუალური ბინები.

კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადა, რომელსაც ენერგიული მ. აზატოვი ხელმძღვანელობს, 52 კაცს აერთიანებს. მათ შორის არიან კვალიფიციური კალატოზები, ხუროები, დურგლები, მღებავები, მჭედლები, ხელის მუშები, როგორც აქ ეძახიან კირ-ქვის მიმწოდებლებს, მიწის სამუშაოთა შემსრულებლებს და სხვ.

სამშენებლო ბრიგადამ უკანასკნელ ერთ წელიწადში ააშენა ტიპური საღორე 141 სულისათვის, 1.000 ტონის ტევადობის საპრიდუქტო საწყობი, მწყემსების ბინა, სასოფლო სამეურნეო ორსართულიანი შენობა და მრავალი სხვა.

ათასკომლიან სოფელს დღემდე არ გააჩნდა კულტურის ისეთი მძლავრი კერა, რომელიც სოფლის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. არტელის წევრთა საერთო კრებისათვის ერთი ხეირიანი ადგილი არ ჰქონდათ. საანგარიშო კრებას მეტწილად ცის ქვეშ ატარებდნენ. თვითმოქმედი წრეებისა და კოლექტივების მუშაობა ბინის უქონლობით შეზღუდული იყო. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და თავისი წინადადებით წარსდგა არტელის წევრთა საერთო კრების წინაშე. გადაწყვიტეს აეშენებინათ კულტურის სახლი. ამ მიზნით 3,5 მილიონი მანეთი გამოყვეს. პროექტი არქიტექტორ შოთა ქლიბაძეს დაუკვეთეს.

კულტურის სახლის მშენებლობა დაკვრითი ტემპით მიმდინარეობდა. მშენებლობაზე ძალღონის დაუზოგავად მუშაობდნენ კოლმეურნე კალატოზები — ალეკსი კობახიძე, ზაქარია წვერიკმაზაშვილი და ილო ღარიბაშვილი; დურგლები — ნიკო ჯავახიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ვანო წვერიკმაზაშვილი; დამხმარე მუშები — ლადო შაქარაშვილი, თედო ირემაშვილი, აბელ აზატოვი, ნიკ. სილაგაძე, რამან დათუნაშვილი და სხვ.

ამ დღეებში კულტურის სახლს ხარაჩოები ჩამოხსნეს. სოფლის ცენტრში ალიმართა მონუმენტური ნაგებობა, რომელმაც გარემო დაამშვენა.

კულტურის სახლს აქვს შესანიშნავი დარბაზი, რომელიც 600 კაცს იტევს, ფართო მბრუნავი სცენა, 32 დამხმარე ოთახი, გარდერობი, ფოიე, ცენტრალური გათბობა. მაყურებელთა დარბაზი საუცხოოდ არის გაფორმებული. ერთი სიტყვით, ის თავისი ლოჟებით, ამფითეატრით, განათებით და ჩინებული სკამებით სიამოვნებას აგრძნობინებს მნახველს.

ასე შენდება და მშვენდება საკოლმეურნეო სოფელი ვაზისუბანი.

ბ. სპეროზაშვილი.





სურათზე: ვაზისუბნის კულტურის სახლის ხედი (ზევით) და მაყურებელთა დარბაზი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საციხურე მეთამბაქოეთა წარმატება

ხულო. (საკ. კორ.). რაიონის მთიან სოფლებში გაცხოველებით მიმდინარეობს თამბაქოს მოსავლის აღება. მოსავლის აღებაში დაწინაურდა სოფელ საციხურის კოლმეურნეობა. საციხურელმა მეთამბაქოეებმა აკარაში პირველებმა შეასრულეს ხარისხოვანი თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა — შეტეხეს და ანემსეს 181 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ზონარმეტრისა და წლიური დავალება 121 პროცენტით შეასრულეს.

კოლმეურნეობა შეუდგა ხმელი თამბაქოს სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. დამზადების პუნქტს უკვე ჩაბარდა ორი ათას კილოგრამამდე ხმელი თამბაქო.

ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXI ყრილობას

დ. გელაშვილი
საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის პირველი მდივანი

მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მზადება პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად. დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმოებში.

ხელსაყრელმა ნიადაგისა და ჰავის პირობებმა და ქალაქ თბილისთან სიახლოვემ განსაზღვრა გარეუბნის რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს მებოსტნეობასა და მეცხოველეობას. ეს გასაგებიც არის: საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა ბოსტნეულსა და მეცხოველეობის პროდუქტებზე.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგები თავმინებებული იყო. მებოსტნეობისა და მეცხოველეობის, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, აღმავლობის გასაღები მოგვცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. ეს გადაწყვეტილებები დაგვეხმარნენ აგვემოქმედებინა მანამდე გამოუყენებელი რეზერვები და მკვეთრად აგვემაღლებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე.

ვიბრძვით რა პარტიის მიერ დასახული იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, შარშან რაიონში წარმოებულ იქნა იმდენი რძე, რამდენიც 1948 წლიდან 1952 წლამდე ერთად. 1957 წელს თვითეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრის ნაცვლად მიღებულია 1.394 ლიტრი რძე.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დავალებანი.

შარშან რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულის ნათესმა ფართობმა 1.000 ჰექტარს მიაღწია; შესამჩნევად ამაღლდა ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო დამზადებათა გეგმები.

1958 წლის განვლილ 8 თვეში მოპოვებულია გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.062 ლიტრი რძე. წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო უფრო შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდა. კოლმეურნეები ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის უხვ მოსავალს იღებენ.

მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობებისა და ცალკეულ მოწინავეთა მუშაობის მაგალითი ცხადყოფს, თუ რა აურაცხელი რეზერვები მოეპოვება რაიონის სოფლის მეურნეობას შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. მაგალითად, სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის 8 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიიღო 17 ლიტრით მეტი რძე, ტაბახმელის კოლმეურნეობამ — 33 ლიტრით, ბევრეთის კოლმეურნეობამ — 69 ლიტრით მეტი და ა. შ. ეს მაშინ, როცა მათთან ერთნაირ პირობებში მყოფმა ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის 8 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვითეულ ძროხაზე 56 ლიტრით შეამცირა წველადობა, თელეთის კოლმეურნეობამ — 21 ლიტრით და ა. შ.

ხორცის წარმოების გადიდების საქმეში კარგად მუშაობენ მარტყოფის სტალინის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველო“ და სხვ. მაგრამ ეს არ ითქმის სოფლების კიკეთის, მსხალდიდის, ავჭალის კოლმეურნეობებზე, სადაც სუსტად იბრძვიან ხორცის წარმოების გადიდებისათვის.

მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ფ. გამჯაშვილმა, რომელმაც შარშან ათი ძროხიდან თვითეულზე მიიღო 4.212 ლიტრი რძე. წელს იგი ენერგიულად იბრძვის წველადობის გასადიდებლად. განვლილ 8 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე უკვე მიიღო 3.079 ლიტრი რძე. მას ვალდებულება აქვს ნაკისრი წლის ბოლომდე მოწველოს 5.000 ლიტრი რძე.

შრომითი მამაცობის ნიმუშებს იძლევიან სოფელ კუმისის კოლმეურნეობის მწველავი ა. გარსევანოვა, გლდანის კოლმეურნეობის მწველავი ე. სულთანიშვილი, მარტყოფის კოლმეურნეობის მწველავი გ. მამუკაშვილი, ნორიოს კოლმეურნეობის მწველავი მ. შუბაშიშვილი და სხვები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებაში დიდად დაგვეხმარა ძვირფასი სამარცვლე და სასილოსე კულტურა — სიმინდი. საკმარისია აღინიშნოს, რომ წელს დათესილია იმდენი სიმინდი, რამდენიც არ დაგვითესია წინა 5-6 წლის მანძილზე ერთად.

ჩვენს რაიონს დაკისრებული აქვს ამოცანა ბოლო მოუღოს სეზონურობას თბილისის ბოსტნეულით მომარაგებაში. მივაღწიოთ იმას, რომ 1960 წლის ბოლოსათვის ძირითადად უზრუნველყოთ საქართველოს დედაქალაქი ახალი ბოსტნეულითა და მეცხოველეობის პროდუქტებით მთელი წლის მანძილზე.

1960 წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა უნდა ავიყვანოთ 2.000 ლიტრამდე. დასახულია აგრეთვე ამოცანა ვაწარმოოთ გაცილებით მეტი ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

ახლა რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. მშრომელები პატრიოტული საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ. ამ დადგენილებაში ისინი ხედავენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავდაცვითი და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ მკაფიო დადასტურებას.

ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ჩაბმულია ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, მეცხოველეობის ფერმა და კოლმეურნე. მშრომელებს თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ ახალი მიღწევებით შეხვდნენ პარტიის XXI ყრილობის დღეს — 27 იანვარს.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღიურად ძლიერდება საშემოდგომო თესვისათვის მზადების ტემპი, ხოლო ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში უკვე შეუდგნენ თესვას.

მოუწყონ პირუტყვს თბილი და მაძღარი გამოზამთრება — ეი რისთვის იბრძვიან ამჟამად რაიონის მეცხოველეები. იქმნება მტკიცე საკვები ბაზა — მეცხოველეობის აღმავლობის მთავარი პირობა. გადაჭარბებით შესრულდა ბალახების თიბვის დავალება. დილიდან საღამომდე არ ცხრება მუშაობა სასილოსე ნაგებობებთან. 10 სექტემბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადებული იყო 7.637 ტონა სილოსი.

მუშაობის ახალმა პირობებმა და მასების დიდმა შრომითმა აქტივობამ სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება, მისი უფრო მაღალ დონეზე აყვანა. 700-მდე აგიტატორი და გაზეთის ხმამაღლა წამკითხველი აცნობს მშრომელებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ესაუბრება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებზე, აღაფრთოვანებს სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში ახალი სასახელო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. ამასთან აგიტატორები თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ რაიონის, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“, ნორიოს ლენინის სახელობის, ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა აგიტკოლექტივები, რომლებსაც გ. ალავიძე, ა. ბადრიძე და ა. ფოჩხუა ხელმძღვანელობენ.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. წელს რაიკომის ლექტორთა ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს 206 ლექცია. ლექციების დიდი ნაწილი მიძღვნილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებისადმი. გაფართოვდა ლექციების თემატიკა. სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“, კოწყანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის აგიტატორები ე. კერატიშვილი, მ. ლაშხი, ა. ადამიანცი, რომლებიც მეცხოველეებთან მუშაობენ, ხშირად აწყობენ საუბრებს მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევებზე. ეს ხელს უწყობს მეცხოველეებს ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვებაში.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის ბრძოლას. სისტემატურად მოწმდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მაგალითად, კოწყანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული დღმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივთან. ივლისში შემოწმდა ამ ორ მეურნეობას შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგები. იმავე თვეში ამ მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტთა ფართო მონაწილეობით განიხილეს აღნიშნული საკითხი და დასახეს საათანადო ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების დროშით ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობისათვის გარეუბნის რაიონის მშრომელები ახალი შესანიშნავი მიღწევებით უპასუხებენ. გარეუბნელ კოლმეურნეები ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

კომუნიზმისათვის ებრძოლნ, ოცდაექვსი გმირის ს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე. სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა გენერალური ასამბლეის სესიების დიდი მნიშვნელობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ამოცანის — საერთაშორისო მშვიდობის დაცვის უზრუნველყოფაში. ეს მით უმეტეს ეხება გენერალური ასამბლეის ახლანდელ XIII სესიას, რამდენადაც ახლანდელი საერთაშორისო ვითარება კვლავ დაძაბულია და შეიცავს უეცარ აფეთქებათა საფრთხეს, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, თქვა ა. ა. გრომიკომ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე განიხილეს საშიში მდგომარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რაიონში შეიქმნა ლიბანში ამერიკის ჯარებისა და იორდანიაში ინგლისის ჯარების გადასხმის შედეგად. დღეს მსოფლიო დაყენებულია აგრეთვე სერიოზული და საშიში სიტუაციის წინაშე, ამჯერად შორეულ აღმოსავლეთში, სადაც სასწრაფოდ გადაჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები და სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აი უკვე რამდენიმე წელია გამოდის როგორც აგრესორი, რომელმაც ხელი აღმართა ჩინეთის ძველთაძველ მიწა-წყალზე.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია „ცივი ომის“ ლიკვიდაცია, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, სახელმწიფოთა შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარება, გრომიკომ დამსწრეთ მოაგონა, რომ ნახევარ წელზე მეტია მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იმყოფება საბჭოთა მთავრობის წინადადება აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა თათბირის მოწვევის შესახებ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით. ეს წინადადება ადამიანთა გონებას დაეუფლა იმიტომ, რომ ყველა გრძნობს შექმნილი ვითარების საშიშროებას, ხედავს, თუ როგორ უბიძგებენ თანდათანობით ომის კატასტროფისაკენ მსოფლიოს ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგად. თათბირის მოწვევის იდეა შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, რამდენადაც მას შეუძლია გზა გადაუღობოს კაცობრიობის დაქანებას ომისაკენ.

მაგრამ თათბირის მომზადების შესახებ მოლაპარაკების მსვლელობაში იყო ცდები ჩაეშალათ მისი მოწვევა ისეთ წინადადებათა წამოყენებით, რომლებიც, როგორც ეს კარგად იციან თვით ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა, შეიძლება იყოს მხოლოდ ხელშეკრულების ჩაშლის საშუალება და არა პლატფორმა შეთანხმების მისაღწევად. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ დღემდე თათბირი უმაღლეს დონეზე ჯერ არ არის მოწვეული, თუმცა მისი საჭიროება დღითიდღე სულ უფრო მწვავე ხდება.

არის აგრეთვე სხვა წინადადებანი, რომლებმაც ფართო მხარდაჭერა პოვეს და რომელთა მიზანია „ცივი ომის“ ლიკვიდაცია,—ისეთები, როგორიცაა წინადადება ევროპის სახელმწიფოთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების, ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების, ევროპის ცენტრში ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ, წინადადებანი განიარაღების შესახებ, მათ შორის ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. ახლანდელ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებას, განაცხადა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, საფუძვლად უდევს აგრესიული სამხედრო ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკა, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ახორციელებენ.

ა. ა. გრომიკომ ცხადყო გამალებული შეიარაღების დამღუპველი გავლენა, კოლოსალური ზიანი, რომელიც მას მოაქვს კაცობრიობისათვის, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მდგომარეობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ უნდა დარჩეს გარეშე მაყურებლის როლში. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის გამო იგი მაინც ვერ გახდა ისეთი ორგანო, რომელიც სახელმწიფოთა ღონისძიებებს წარმართავდეს განიარაღების განსახორციელებლად.

საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც წინათ, მზად არის და სურს აწარმოოს ნაყოფიერი მოლაპარაკება განიარაღების შესახებ.

მოლაპარაკება განიარაღების შესახებ უნდა მოეწყოს თანასწორუფლებიან საფუძველზე. საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს განიარაღების კომისიის შექმნას ისეთი შემადგენლობით, როცა, სულ ცოტა, მისი წევრების ნახევარი არჩეულ იქნება იმ სახელმწიფოთა რიცხვიდან, რომლებიც არ შედიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ შექმნილ სამხედრო ბლოკებში, ესე იგი სოციალისტური და ნეიტრალური ქვეყნების რიცხვიდან.

საბჭოთა მთავრობა იყო და არის განიარაღების პრობლემის რადიკალური გადაჭრის მომხრე, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითს შემცირებას, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას, მისი წარმოების შეწყვეტას და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოღებას. მაგრამ ჩვენი ცდები მიგვეღწია ასეთი ყოვლისშემცველი შეთანხმებისათვის უცვლელად აწყდებოდა შენიშვნებისა და წინააღმდეგობების ყრუ კედელს, რომლებსაც აყენებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მთავრობები, რომლებმაც თავი დაუკავშირეს ნატოს პოლიტიკას. ასეთ პირობებში მდგომარეობიდან ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალი ის არის, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ, გამოიყოს დასაწყისისთვის ყველაზე აქტუალური და მომწიფებული საკითხები.

საბჭოთა დელეგაციას გენერალური ასამბლეის ამ სესიის განსახილველად შემოაქვს საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი ღონისძიებათა შესახებ განიარაღების დარგში, რომელშიც ჩამოყალიბებული პროგრამა შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს როგორც შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, ისე აგრეთვე ატომგულის იარაღის შესახებ. გთვალისწინებულია აგრეთვე განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებისადმი შესაბამისი საერთაშორისო კონტროლის დაწესება.

გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე განიარაღების საკითხების განხილვისას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გადაუდებელ საკითხებს.

ა) ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყვეტა;

ბ) სამხედრო მიზნებით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვა, სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსის სივრცის შესწავლის დარგში;

გ) სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტების შემცირება.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებაა აღნიშნული საკითხები, რომელთა გადაჭრა სერიოზულად წასწევდა წინ განიარაღების საქმეს და დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, განხილულ იქნეს როგორც ასამბლეის დღის წესრიგის ცალკეული დამოუკიდებელი პუნქტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, დასმულია პასუხსაგები ამოცანები იმ აგრესიასთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მოახდინეს ახლო აღმოსავლეთში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება ლიბანიდან ამერიკის ჯარებისა და იორდანიიდან ინგლისის ჯარების უსწრაფესად გაყვანის შესახებ. დადგა დროვნახოთ, თუ რა გაკეთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. რამდენადაც უცხოეთის ოკუპაცია ლიბანსა და იორდანიაში გრძელდება, ხოლო ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის ვადა ჯერ კიდევ არ არის დაწესებული, სსრ კავშირი უფლებას იტოვებს მოითხოვოს სესიაზე განხილულ იქნეს ლიბანსა და იორდანიაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მოქმედების და მათი ჯარების გაყვანის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის შესრულების გაჭიანურების საკითხი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა მოუწოდა შეწყვიტონ სისხლისმღვრელი ომი ალჟირში და გამოვიდა არაბთა ორი პატარა სახელმწიფოს ეიმენისა და ომანის დასაცავად, რომლებიც უკვე რამდენიმე წელიწადია განიცდიან ინგლისის ბომბდამშენთა ბარბაროსულ თავდასხმებს, ინგლისის ჯარების შემოსევას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. თქვა მან შემდეგ, უნდა შეწყვიტონ ცეცხლთან საშიში თამაში შორეულ აღმოსავლეთში.

იქ შექმნილ საშიშ მდგომარეობას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე წლის წინათ განახორციელეს აგრესია ჩინეთის მიმართ, ხელთ იგდეს რა ჩინეთის უძველესი ტერიტორია — კუნძული ტაივანი და პენხულედაოს არქიპელაგი, გადააქციეს ისინი თავიანთ სამხედრო ბაზად, რომელიც მიმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმუქრება გაიფართოოს აგრესია, გაავრცელოს იგი ჩინეთის სანაპირო კუნძულებზე, რომლებიც რამდენიმე კილომეტრით დაშორებულია მატერიკის ჩინეთის სანაპიროს და რომლებიც ხელში ჩაიგდეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩანკაიშელმა აგენტებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამარ მზადებას ამ რაიონში თან ახლავს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების ცილისწამებისა და მუქარის აღვირახსნილი კამპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლებსაც, როგორც ჩანს, ვერ გაუთვალისწინებიათ, რომ, მოქმედებენ რა ამგვარად, ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ დიდი ჩინელი ხალხის გადაწყვეტილებას გაათავისუფლოს ტაივანი — თავისი განუყოფელი ტერიტორია და რომ ჩინელი ხალხი ამას ისევე გარდუვალად განახორციელებს, როგორც გარდუვალია ის, რომ ღამეს მოჰყვება დღე. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა რისკს ეწევა, როცა მიმართავს მუქარას და ავანტიურების გზას ადგება თავის პოლიტიკაში სახალხო ჩინეთის მიმართ, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა. ჩინეთის წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციების სულის ჩამდგმელთ ავიწყდებათ, როგორც ჩანს, რომ ჩინეთი მძლავრი სახელმწიფოა, რომლის ხალხი შეკავშირებულია თავისი მთავრობის გარშემო და უკვე არც თუ მცირე გამოცდილება აქვს უცხოელი დამპყრობლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში.

არ უნდა დაივიწყნათ აგრეთვე ის, რომ ჩინეთი მარტო როდია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჰყავს ერთგული მოკავშირეები, რომლებიც მზად არიან ყოველ მომენტში დაეხმარონ მას, რათა ერთობლივი ღონისძიებებით უკუაქციონ აგრესორი, და ამ მოკავშირეებს შორის არის საბჭოთა კავშირი. ნებას მივცემ ჩემს თავს მოვგაგონოთ სიტყვები, რომლებსაც შეიცავდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამა წლის 7 სექტემბრის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი. იქ ნათქვამია:

„...მოდით და შევიტანოთ საკითხში სრული სიცხადე, რადგან ნაკლოქმედებანი და გაუგებრობანი ასეთ საქმეებში ყველაზე საშიშია. თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, მოკავშირე და მეზობელია, საბჭოთა კავშირზე თავდასხმაა. თავისი მოვალეობის ერთგული ჩვენი ქვეყანა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჩინელ ხალხთან ერთად დაიცვას ორივე სახელმწიფოს უშიშროება, მშვიდობის ინტერესები შორეულ აღმოსავლეთში, მშვიდობის ინტერესები მთელ მსოფლიოში“.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ტაივანის სრუტის რაიონში, ისე როგორც მთელი მათი პოლიტიკა სახალხო ჩინეთის მიმართ, პროტესტებს იწვევს მთელ მსოფლიოში. შორეულ აღმოსავლეთში შეუძლებელია მტკიცე მშვიდობა მანამდე, სანამ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს არ გაიწვევენ მთლიანად და სამუდამოდ ჩინეთის კუნძულ ტაივანიდან და ტაივანის სრუტიდან, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები არ შეწყვეტენ ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევას.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა დაგმო სამხედრო დემონსტრაციების მეთოდები, ძალის გამოყენების მუქარა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები იყენებენ. ვინ დაავალა ამერიკის შეერთებულ შტატებს, თქვა ა. ა. გრომიკომ, იკისრონ საერთაშორისო ჟანდარმის როლი, ჩაერიონ სხვა ქვეყნების საქმეებში?

საბჭოთა მთავრობის აზრით, გენერალურმა ასამბლეამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც აუკრძალავს სახელმწიფოებს გადააჯგუფონ თავიანთი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები შანტაჟის, დაშინების, აგრესიის მომზადების მიზნით, და იმის შესახებ, რომ ეს ძალები რჩებოდნენ თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში.

ა. ა. გრომიკომ ცხადყო, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამოხატულებაა ის მახინჯი მდგომარეობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღემდე არ არიან ჩინეთის წარმომადგენლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა დაამყაროს წესრიგი თავის სახლში და გაუთავისუფლოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი, რომელიც მათ ეკუთვნით. სსრ კავშირის დელეგაცია მოითხოვს, რომ ეს გაკეთდეს.

უკანასკნელი თვეების ამბებმა ახლო აღმოსავლეთში და ტაივანის სრუტის რაიონში, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ერთხელ კიდევ ცხადყო სამხედრო ბლოკების შეკოწიწების ნამდვილი აზრი. დაეყრდნენ რა სამხედრო ბლოკების — ნატოს, ბაღდადის პაქტისა და სეატოს — სისტემას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლეს გამოეყენებინათ დასავლეთ გერმანიის, იტალიის, თურქეთის, ფილიპინებისა და ამ ბლოკების სხვა მონაწილეთა ნავსადგურები, აეროდრომები და უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციები ამ ქვეყნების მთავრობათა უსიტყვო და სიტყვიერი მხარდაჭერით იმისათვის, რომ დადაეყენანთ ჯარები თავიანთი აგრესიის რაიონებში.

საბჭოთა მთავრობა მუდამ ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება მსოფლიო დაყოფას სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებად, რადგან ამ დაჯგუფებათა არსებობა სერიოზულად წამლავს სახელმწიფოების ურთიერთობას, ქმნის მათ შორის სამხედრო შეტაკებების საფრთხეს. საბჭოთა მთავრობამ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების მთავრობებთან ერთად განაცხადა, რომ სურს დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ამ ორ დაჯგუფებას შორის.

დიდ სარგებლობას მოიტანდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება ევროპის სახელმწიფოების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ.

კაცობრიობის წინაშე, თქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, არის შემდგომი განვითარების მხოლოდ ორი გზა.

ერთი გზაა წინააღმდეგობათა და მტრობის კიდევ უფრო გაღვივების, იმ უნდობლობის გაღრმავების გზა, რომელიც ამჟამად არსებობს სახელმწიფოთა ძირითად დაჯგუფებებს შორის. ეს ის გზაა, რომელზეც „ცივი ომისა“ და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მქადაგებლებს სურთ დაიყენონ ქვეყნები.

განვითარების მეორე გზაა ის, რომ სახელმწიფოებმა გადაჭრით თქვან უარი ძალის გამოყენებაზე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, შეწყვიტონ ომის პროპაგანდა, მტკიცედ სცენ პატივი თითოეული ხალხის, თითოეული სახელმწიფოს უფლებას იცხოვროს თავისებურად და დაამყაროს თავის ქვეყანაში ისეთი წესები, როგორიც თვითონ სურს; რომ გააფთრებული გამალებული შეიარაღება შეიცვალოს სახელმწიფოების მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებით, ისე რომ ერთი ქვეყანა არ ცდილობდეს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს სხვა ქვეყნები. ეს არის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის გზა.

იმის შესაძლებლობა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოების სტაბილური მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, ბევრად დამოკიდებულია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის დამყარებაზე. როგორც თქვენ იცით, საბჭოთა მთავრობამ შესთავაზა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მეგობრობის ხელშეკრულების დადება, რომელიც მტკიცე საფუძველს შექმნიდა ორივე ქვეყნის თანამშრომლობისათვის მრავალი წლის მანძილზე. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება არანაკლებ შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების, ამერიკელი ხალხის ინტერესებს, ვიდრე სსრ კავშირის, საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა წარმოუდგენელია, თუ არ იქნა თავისუფალი ეკონომიური ურთიერთობა მათ შორის, თუ ფართოდ არ განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობა, თუ მტკიცედ არ სცემენ პატივს სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებს თვითონ განაგონ თავიანთი სიმდიდრე და ბუნებრივი რესურსები. კაცობრიობას როდი სჭირდება შეჯიბრება სიკვდილისა და ნგრევის საშუალებათა წარმოებაში, ომის ქება-დიდება. დაე შეჯიბრება სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებს შორის იყოს შეჯიბრება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, სულიერი სიმდიდრის გამრავლებაში. ასეთი შეჯიბრება კი არ გათიშავს, არამედ დააახლოებს ხალხებს, მშვიდობისა და პროგრესის საქმეს მოახმარს მათ ღონისძიებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესია

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიის დილის სხდომაზე დაიწყო საერთო დისკუსია.

სხდომაზე გამოვიდნენ ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანსისკო ნეგრაო დე ლიმა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური სახელმწიფო მდივანი დალესი, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფუძიამა.

დღის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

გენერალური ასამბლეის მე-13 სესიაზე უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-13 სესიის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა გუშინ წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიის თავმჯდომარეს. წერილში იგი სთხოვს მას შეიტანოს გენერალური ასამბლეის XIII სესიის დღის წესრიგში საკითხი — „ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო გამოკვლევათა საერთაშორისო წლის მოწყობის შესახებ“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის პროექტში, რომელიც უკრაინის სსრ დელეგაციამ შეიტანა, წამოყენებულია წინადადება მოეწყოს 1960 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო კვლევის საერთაშორისო წელი. რეზოლუციის პროექტი შეიცავს მოწოდებას ყველა მთავრობისა და დაინტერესებული საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციებისადმი — მონაწილეობა მიიღონ, ყოველმხრივ დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო კვლევის საერთაშორისო წლის მომზადებასა და ჩატარებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის პრესის განყოფილების განცხადება

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის პრესის განყოფილებამ გააკეთა შემდეგი განცხადება:

ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ გაზეთში გამოთქმულია „შეშფოთება“ იმის გამო, რომ იმ მონენტში, როცა სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი შეთანხმდნენ მოეწყოს მოლაპარაკება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე, საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა ცალკე განიხილოს ეს საკითხი გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე.

ამასთან დაკავშირებით აშკარად ხელოვნური შეშფოთებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წინადადება გაკეთებულია სწორედ იმიტომ, რომ ჯერჯერობით არ არის იმის რაიმე საიმედო ნიშანი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მზად არიან მიბაძონ სსრ კავშირის მაგალითს და შეწყვიტონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ამას მოწმობს ბევრი მონაცემი. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი უმაგალითო ინტენსივობით განაგრძობენ ატომგულის იარაღის გამოცდას, ხოლო თავიანთი შესაძლო თანხმობა ამ გამოცდის შეწყვეტის საკითხზე მათ დაუკავშირეს ისეთ პირობებს, რომლებიც სავსებით აშკარას ხდიან, რომ საქმე ეხება მათ წმინდა პროპაგანდისტულ ღონისძიებას. სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები ყოველი საშუალებით ისწრაფვიან ხელი შეუშალონ ამ გამოცდის შეწყვეტას.

ვის შეუძლია უარყოს, რომ გენერალურ ასამბლეას, სადაც წარმოდგენილია 80-ზე მეტი სახელმწიფო, არათუ აქვს სრული უფლება, არამედ ვალდებულია მკაფიოდ გამოთქვას თავისი აზრი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე, ესე იგი საკითხზე, რომელიც უშუალოდ ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის ინტერესებს? საფიქრებელია, რომ ამის უარყოფა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც არ სურს, რომ გამოცდის ყველგან შეწყვეტის ამოცანა გადაიჭრას რაც შეიძლება მალე. ხომ ნათელია, რომ გენერალური ასამბლეის დადებითი რეკომენდაცია ამ საკითხზე მხოლოდ ხელს შეუწყობდა ატომური და წყალბადის იარაღის მქონე სახელმწიფოთა მოლაპარაკების წარმატებას, ამ იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყვეტის შესახებ.

ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება ვარშავაში

ვარშავა, 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიმართა მორიგი შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩისა ვარშავაში ვან ბინ-ნანისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისა პოლონეთში დ. ბიმისა.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება ელჩების დონეზე გაგრძელდება 21 სექტემბერს დილის 10 საათზე.

სქურის მინერალური წყალი

წალენჯიხა. (საკ. კორ.). სქურის მინერალური წყალი და მისი სამკურნალო თვისებები კარგად არის ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. იგი იგზავნება მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში, ყირგიზეთში, ყარაგანდაში, მოლდავეთში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში.

მიმდინარე წლის 8 თვეში სქურის მინერალური წყლის ქარხანას გეგმით უნდა ჩამოესხა მილიონ 300 ათასი ნახევარლიტრიანი ბოთლი წყალი, ფაქტიურად ჩამოსხმულია მილიონ 500 ათასი ბოთლი.

ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ქარხნის მუშებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით გამოუშვან ნახევარი მილიონი ნახევარლიტრიანი ბოთლი სქურის წყალი.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ქარხნის მოწინავე მუშები ტ. იაკოვლევა, შ. ჯაბუა, მ. დიმიტროვა, ა. ლებეშკინა, დ. და ტ. კვარაცხელიები და სხვ.

• • •

სურათზე: სქურის მინერალური წყლის ჩამოსხმა.

ფოტო ბ. გავრილეჩკოსი.

სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის გასტროლები

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საგასტროლო სპექტაკლი — ჟ. მასნეს სამმოქმედებიანი ოპერა „ვერტერი“.

სპექტაკლს დირიჟორობდა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი პროფესორი ბ. ხაიკინი; დამდგმელი-რეჟისორი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ს. ლემეშევი, მხატვრობა ეკუთვნის რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ბ. ვოლკოვს, ხორმეისტერია ა. ხაზანოვი, რეჟისორები — ა. კოტეგნიკოვი და ე. ნიკიტინა.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ს. ლემეშევი; რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი მ. ზვეზდინა; მსახიობები კ. ლეონოვა, ე. ბელოვი, ვ. ტიუტიუნიკი, ი. ფილინი, ს. კოლტაპინი, ბ. კლეიმანი, ე. გავრიუშოვა.

ორკესტრში სოლოს ასრულებდნენ რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ი. ბურავსკი, მუსიკოსები ი. სოლოდუევი, ფ. ლუზანოვი, ს. ციკოტა, ვ. პოლეხი.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში.

პირველობის დროს დამყარებულია საქართველოს სამი რეკორდი. რეკორდების ცხრილში ახალი შესწორებანი შეიტანეს: რ. ტრაპაიძემ, რომელმაც 200 მეტრ თარჯრბენს მოანდომა 23,9 წამი, ლ. შმაკოვმა, რომელმაც შუბი ტყორცნა 66 მეტრსა და 38 სანტიმეტრზე და მ. ტუღუშმა, რომელიც 110 მეტრზე თარჯრბენში ფინიშთან მივიდა 14,5 წამში.

საქართველოს ჩემპიონები ცალკეულ სახეობათა შეჯიბრებაში ვაჟთა შორის გახდნენ: რ. კვაჭახიძე (სიგრძეზე ხტომა), ნ. სერგეევი (5 და 10 ათას მეტრზე რბენა), ვ. ვეიცკევიჩი (ჭოკით ხტომა), ვ. ბლიაძე (ბირთვის კვრა), ნ. თვაური (1.500 მეტრზე რბენა) და სხვები. ქალთა შორის ჩემპიონების სპატიო წოდებამოიპოვეს: ლ. ტუღუშმა (ბადროს ტყორცნა), ა. ოვივიანმა (100 და 200 მეტრზე რბენა), რ. ქოჩლაძემ (80 მეტრზე თარჯრბენა), ლ. იევლევამ (სიგრძეზე ხტომა) და სხვ.

გუნდური პირველობა პირველ ჯგუფში მოიგეს თბილისელმა მძლეოსნებმა, მეორე ადგილზე არიან აჭარის სპორტსმენები, მესამეზე — აფხაზეთისა. ... კოლექტივებს შორის, რომლებიც მეორე ჯგუფში გამოდიოდნენ, პირველობა მოიპოვეს გორელებმა. (საქდესი).

რედაქტორი პ. რატიანი.

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — თავადი იგორი (მოსკოვის აკადემიური დიდი თეატრის გასტროლები), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ვ. ნინუას შემოქმედებითი საღამო, **გრიბოედოვის სახელობის** — მგზნებარე მეოცნებე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შავი ბიჭი (ან. № 2, 6 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — კონცერტი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ფატიმა, **თბილისი, კოლხიდა** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ვაკის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, ცენტრალური კულტურის სახლი** (საზამთრო) — ლეგენდა სიყვარულზე, **ამირანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — იურაშეკი, **ფილარმონიის ბაღი, კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო) — ქალიშვილი გიტარით, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო) — მორიგი რეის